პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 162 (18704) პარასკევი, 15 ივლისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

მაიაკოვსკი, 14 ივლისი. (საქინფორმის სპეც. კორ.). 35 სქელტანიანი ტომი გამოხმაურებათა წიგნებისა, რომლებშიც მსოფლიოს ხალხთა თითქმის ყველა ენაზე დატოვებულია ჩანაწერები, ყოველწლიურად ოცდაათი ათასზე მეტი სტუმარი — ასეთია პოეტის სამშობლოში ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის სტატისტიკა. აი, უკვე მეხუთე წელია ივლისში პატარა ხის სახლში მოუსვენარი ხანისწყლის ნაპირზე იკრიბებიან საქართველოში ვლადიმერ მაიაკოვსკის საკავშირო დღეების მონაწილენი.

მაგრამ, ალბათ ამდენი სტუმარი ძველ სახლს არ ახსოვს. მათთვის გულითადი მასპინძლები გახდნენ მაიაკოვსკის მეცხოვრებნი.

ცენტრალურ სტადიონზე გამართული შრომის დღესასწაული დიდ საყოველთაო-სახალხო ზეიმად იქცა. რეჟისორმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ლ. პაქსაშვილმა თეატრალიზებული წარმოდგენა მაიაკოვსკის სულისკვეთებით ჩაიფიქრა. გახსოვთ, ალბათ, როგორ ოცნებობდა პოეტი დაედგა სპექტაკლი მთაწმინდაზე ისე, რომ მაყურებელი ყველა თბილისელი ყოფილიყო? ამ შემთხვევაში მაიაკოვსკი მაყურებლები მოთავსდნენ გარშემო მდებარე ბორცვების ფერდობებზე, ხოლო ფეხბურთის მოედანზე გაითამაშეს სცენები ვლადიმერ მაიაკოვსკის „მისტერია-ბუფიდან“, შეასრულეს ნაწყვეტები მისი უკვდავი პოემებიდან, შთაგონებით წაიკითხეს პოეტის ლექსი „საბჭოთა პასპორტის შესახებ“, დიდი ბელადის ვ. ი. ლენინისადმი, მშობლიური საქართველოსადმი მიძღვნილი ლექსები.

მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა, ადგილობრივი კულტურის სასახლის გუნდმა, ქუთაისიდან ჩამოსულმა პროფესიულმა საგუნდო და ქორეოგრაფიულმა კოლექტივებმა შეასრულეს ჩვენი ქვეყნის ხალხთა სიმღერები და ცეკვები, რომლებშაც ხოტბას ასხამდნენ სამშობლოს, პარტიას, საბჭოთა ხალხს.

შრომის დღესასწაულში მონაწილეობისათვის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები გამოგზავნეს ხერსონის ოლქის მეეზენკოს რაიონის და კრასნოდარის მხარის ტიხორეცკის რაიონის სტანიცა ტერნოვსკაიას (პოეტის დედის ალექსანდრა პავლეკოს სამშობლოს) მშრომელებმა, რომლებთანაც მრავალი წელია მეგობრობენ და ეჯიბრებიან მაიაკოვსკელები.

სტადიონზე შემოაქვთ ვლადიმერ მაიაკოვსკის უზარმაზარი პორტრეტი. გაერთიანებული გუნდი ასრულებს „მრავალჟამიერს“, ხოტბას ასხამს რევოლუციის დიდ პოეტს.

„კომუნიზმი — ეს არის მსოფლიოს ახალგაზრდობა, და იგი ახალგაზრდობამ უნდა აშენოს!“ — ალბათ, პოეტის ეს სიტყვები გაახსენდათ ზეიმის მონაწილეებს, როცა სტადიონის მოედანზე ფიზკულტურელები შემოვიდნენ.

დიდმა სპორტულმა პროგრამამ დაამშვენა მასობრივი სახალხო დღესასწაული, რომლის შემხედვარემ, კუბის მწერალთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა, გამოჩენილმა კუბელმა პოეტმა ანხელ აუხეირამ წამოიძახა: „ახლა კი ვხვდები, საიდან აქვს ვლადიმერ მაიაკოვსკის, მის შემოქმედებას ასეთი ტემპერამენტი, ასეთი მასშტაბურობა“.

შემდეგ საიუბილეო ზეიმის მონაწილენი გაეგზავნენ ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმისაკენ, მის მახლობლად აშენებული საგამოფენო დარბაზისაკენ. აქ შეკრებილია მრავალი მასალა პოეტის ხანმოკლე, მაგრამ ესოდენ ნათელი სიცოცხლის, მისი უკვდავი რევოლუციური ქნარის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ვ. მაიაკოვსკის 90 წლისთავის იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე გ. ენუქიძე ჭრის ლენტს და პირველი დამთვალიერებლები დარბაზში ადიან ფართო გრანიტის კიბით. აქ მათ გრანიტის ძეგლზე ხვდება ვლადიმერ მაიაკოვსკის ბრინჯაოს ბარელიეფი. ექსპოზიცია შედგენილია პოეტის ავტობიოგრაფიის — „მე — თვითონ“ — პრინციპით შერჩეული ფოტომასალებისაგან. სტუმრებმა პირველი ჩანაწერები დატოვეს საექსპოზიციო დარბაზის შთაბეჭდილებათა წიგნში.

შემდეგ ხანისწყალთან, ასწლოვანი ჭადრების ჩრდილქვეშ, იმ-პროვიზებულ ესტრადაზე გაიმართა პოეზიის ინტერნაციონალური საღამო. აქ წაიკითხეს ლექსები მსოფლიოს ხალხთა სხვადასხვა ენაზე, მაგრამ ისინი თითოეულისათვის გასაგები იყო, რადგან მეგობრობისა და ძმობის ენა ყველა კეთილი ნების ადამიანისათვის გასაგებია.

რუსმა პოეტებმა ვ. სოკოლოვმა, ა. პავლოვმა, ლ. შიკინამ, ა. პარპარამ, უკრაინელმა ა. ტკაჩენკომ, ბურიატმა ნ. დოლგინოვმა, უნგრელმა გ. გარაიმ, თურქმენმა კ. ყურბანმურატოვმა, რუმინელმა მ. ვოგტონმა, ქართველებმა ნ. გურეშიძემ, თ. აბულაძემ და სხვებმა წაიკითხეს თავიანთი ლექსები, რომელთაგან ბევრი ვლადიმერ მაიაკოვსკის ეძღვნება. რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა გ. სოროკინმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ვ. იოსელიანმა წაიკითხეს ვ. მაიაკოვსკის ლექსები.

ლექსებს ამ საღამოს ენაცვლებოდა სიმღერები, რომლებსაც ასრულებდნენ მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, თბილისელი ექიმის ზ. ჩიქოვანის ოჯახი.

შეჯამა რა საღამოს შედეგები, ცნობილმა პოეტმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ე. ისაევმა თქვა: „მსოფლიოში არ მეგულება მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც ასე უყვარდეთ, ასე დიდად აფასებდნენ პოეზიას, როგორც ჩვენში. საქართველო რომ პოეტებისა და პოეზიის მხარეა, დიდი ხანია ვიცოდი, მაგრამ ასეთი რამის ნახვას მაინც არ ველოდი. მადლობა შენდა, ქართულო მიწა-წყალო, ვლადიმერ მაიაკოვსკისათვის, იმისათვის, რომ შენ ასეთ პატივს მიაგებ რუსეთის დიდ შვილს!“.

ვ. მაიაკოვსკის 90 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი გაგრძელდა აბაშის რაიონში. 14 ივლისს საღამოს ვ. მაიაკოვსკის საკავშირო დღეების მონაწილენი შეხვდნენ ქუთაისელ მშრომელებს.

ვ. მაიაკოვსკის დღეებში მონაწილეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1481“ ᲓᲐ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1482“

საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1481“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს, საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

1983 წლის 13 ივლისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1482“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებისათვის.

აპარატურა ნორმალურად მუშაობს. მიღებული ინფორმაცია გადაეცემა სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითსა და საწარმოო ცენტრს „ბუნებას“ დამუშავებისა და გამოყენებისათვის. (საკდესი).

ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲢᲧᲕᲐᲠᲩᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲡ, ᲛᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲔᲔᲑᲡ, ᲔᲥᲡᲚᲝᲐᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲔᲑᲡ, ᲓᲐᲛᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲚᲔᲑᲡ, ᲒᲐᲛᲒᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲜᲐᲛᲔᲗᲡ

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო, რეპუბლიკის პროფსაბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გულითადად გილოცავენ შესანიშნავ შრომითს გამარჯვებას — ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ენერგობლოკის წარმატებით ამოქმედებას.

110 ათასი კილოვატი სიმძლავრის ენერგოაგრეგატის ამოქმედება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წვლილია რესპუბლიკის ენერგეტიკული პოტენციალის შემდგომ ზრდაში, იმ ამოცანების შესრულებაში, რომლებიც დასახულია სკკპ XXVI ყრილობაზე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმებზე, ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში.

ახორციელებთ რა ლენინის ანდერძს ქვეყნის მთლიანი ელექტრიფიკაციის შესახებ, თქვენ ხართ სახალხო მეურნეობის შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისა და ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის ავანგარდში.

მიღწეული წარმატება მშენებლობის ყველა მონაწილის გულმოდგინეობის, შრომასმოყვარეობისა და ინიციატივის შედეგია, რომლებმაც პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება გადიდებულ ვალდებულებათა რეალიზაციისათვის.

შემჯიდროებულ ვადებში დიდი მოცულობის სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების შესრულება ერთხელ კიდევ მკაფიოდ მოწმობს საქართველოს ენერგოშენებლობისა და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს და ლენინგრადის, ნოვოსიბირსკის, ბაკოს, ბარნაულის, ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრების საწარმოთა კოლექტივების მჯიდრო საქმიანი თანამშრომლობის ძალას.

ვულოცავთ ენერგოშენებელთა მრავალეროვან კოლექტივს, მშენებლობის ყველა მონაწილეს და გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ კვლავაც ყოველ ღონეს იხმართ ამოქმედებული სიმძლავრის უსწრაფესი ათვისებისათვის.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ წარმატებებს ჩვენი დიადი სამშობლოს საეთილდღეო შრომაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
საქართველოს პროფსაბჭო
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

ᲛᲬᲥᲝᲑᲠᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲝᲑᲚᲝᲙᲘ

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ტყვარჩელის სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლებმა და მემონტაჟეებმა შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს. მათ საექსპლოატაციოდ გადასცეს 110 ათასი კილოვატი სიმძლავრის ახალი ენერგობლოკი. ამ წარმატებას მშენებლებთან და მემონტაჟეებთან ერთად თანაბრად იზიარებენ ენერგოაგრეგატის დამპროექტებლები, ელექტროსადგურის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის ყველა, მონაწილე.

1938 წელს აგებული რესპუბლიკის თბოენერგეტიკის პირმშო, რომელიც ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირით მუშაობს, წელიწადში 700 მილიონ კილოვატსაათ ენერგიას აწარმოებს.

რეკონსტრუქციის ორი წლის მანძილზე მოქმედი ელექტროსადგურის პირობებში მშენებლებმა და მემონტაჟეებმა დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს. მემონტაჟეთა მიერ ძველი დემონტირებული მოწყობილობის საერთო წონამ 6 ათასი ტონა შეადგინა, ხოლო მარტო საქვაბე განყოფილებაში დამონტაჟებულია 3.500 ტონაზე მეტი ლითონკონსტრუქციები. ამოქმედებული ფონდების საერთო ღირებულება 9,5 მილიონ მანეთს შეადგენს. ყველაზე დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს „საქჰიდროენერგომშენის“ კოლექტივმა და მისმა ქვედანაყოფებმა — „კავკასენერგომონტაჟმა“, „კავკასენერგომონტაჟიზოლაციამ“, „ჰიდროელექტრომონტაჟმა“. დღეიდან რესპუბლიკის მრეწველობისათვის ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობა ერთიორად და მეტად გაიზარდა.

მაშ ასე, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მორიგი, მეორე ენერგობლოკი მოქმედებს. ეს მშენებლთა, მემონტაჟეთა, დამპროექტებელთა, გამმართველთა, ექსპლოატაციის მუშაკთა უდიდესი გარჯის შედეგია.

ი. ᲑᲝᲒᲝᲩᲘᲐ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ

ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის 110 ათასი კილოვატი სიმძლავრის ენერგობლოკის საექსპლოატაციოდ წარმატებით გადაცემისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოვა იმ მშენებლთა, მემონტაჟეთა, ექსპლოატაციის მუშაკთა, დამპროექტებელთა ჯგუფი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

მთელ რიგ ამხანაგებს მიენიჭათ „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ენერგეტიკოსის“, „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდებანი.

ბრძანებულებანი ქვეყნდება აფხაზეთის საოლქო პრესაში. (საქინფორმი).

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ: ᲬᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲕᲐᲮᲢᲘ

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულელი მშრომელები ფართოდ არიან ჩაბმული გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადაზე 7 დღით ადრე შეასრულეს მთლიანი პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმა. ზრდის ტემპი გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 2 პროცენტით გაიზარდა.

განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევენ ლენინის სახელობის შახტის, ხრუსლოვის ხილკენკროვანთა ღვინის ქარხნის, სამრეწველო კომბინატისა და კურსების გრანიტის ქარხნის კოლექტივები.

ქალაქის მრეწველობის მუშაკებმა ნახევარი წლის გეგმის გადაჭარბებით 2 მილიონ მანეთისაზე მეტი სამრეწველო პროდუქცია გამოუშვეს.

ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქაური ავტოსატრანსპორტო გაერთიანება მომსახურებას უწევს თერჯოლის, მაიაკოვსკისა და ორჯონიკიძის რაიონებს. გადაზიდულია ათი ათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, გადაყვანილია ათასობით მგზავრი. ტრანსპორტელები კარგად ართმევენ თავს რთულ და სპპატიო საქმეს. განსაკუთრებით საგრძნობია ის დიდი წვლილი, რომელიც შეიტანეს ფეროშენადნობთა ქარხნის სარეკონსტრუქციო სამუშაოებში.

ავტომეურნეობის დიდ კოლექტივს გარჯა დაუფასდა. პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით იგი გამარჯვებული გამოვიდა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურა.

ᲡᲐᲥᲛᲔᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲩᲘᲜᲐ

მაᲜᲘᲡ მეგობრობას ძირძველი საფუძველი აქვს. ამიტომაც არის, რომ ერომანელთს კეთილად შეგებებულნი მხარდამხარ იბრძვიან მშობლიური საწარმოს ღირსების ამაღლებისათვის თბილისის საინსტრუმენტო ქარხანაში.

ქარხანაში თავიანთ სამოქმედო პროგრამად აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე წამოყენებული ამოცანები. წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა ქარხნის ხელმძღვანელობის, თითოეული მუშაკის ყურადღების ცენტრშია.

სურათზე: თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის გრეხვის საამქროში თავდადებით შრომობენ კომუნისტური შრომის დამკვრელები (მარჯვნიდან) ლილი პატაშური, თენგიზ წირქვაძე, ელა პატრუშევა და ვიტალი კალამნიკოვი. ისინი ყოველთვიურ დავალებას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ და თავიანთი წვლილი შეაქვთ საწარმოს წინსვლის საქმეში.

ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲓᲔᲣᲠᲘ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘᲐ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲘ

Ე. Ა. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ XIV ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ 1983 ᲬᲚᲘᲡ 9 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ!

ჩვენმა პლენუმმა ერთხელ კიდევ ცხადყო, ერთი მხრივ, რამდენად აქტუალურია ახლა პარტიის იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანები, რომლებიც წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა, მისმა გადაწყვეტილებებმა, საპროგრამო დებულებანი და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მოხსენება. მეორე მხრივ, ჩვენმა პლენუმმა, კამათის მონაწილე ამხანაგების გამოსვლებმა ცხადყო, თუ რაოდენ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ მთელი ეს მუშაობა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში ავიყვანოთ თანამედროვე მოთხოვნების, თანამედროვე ამოცანების დონეზე.

პლენუმმა გვიჩვენა ისიც, რომ საჭიროა მთელი იდეოლოგიური მუშაობის მჭიდრო, ორგანული, დიალექტიკური შესატყვისება სამეურნეო ორგანიზაციულ-პარტიულ მუშაობასთან, **ვინაიდან სიტყვა — მტკიცე, აწონილ-დაწონილი, ბრძნული პარტიული სიტყვა — გზას უნდა უნათებდეს პრაქტიკულ საქმეებს, და სწორედ საქმეებით უნდა განვამტკიცებდეთ სიტყვას. წარმატებას ჩვენ მივაღწევთ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა სიტყვა კი არ დასცილდება საქმეს, არამედ შეეწყმის მას ერთიან მიზანმიმართულ საქმიანობად.**

ჩვენმა პლენუმმა დაადასტურა, თუ რაოდენ საჭიროა შემოქმედებითად ვუდგებოდეთ იდეოლოგიურ მუშაობას, ვეძებდეთ იდეურ-აღმზრდელობითი პრობლემების ახალი, არაშაბლონური გადაწყვეტის გზებს, რომლებიც შეესაბამება ადამიანის სოციალური და სულიერი განვითარების დღევანდელ დონეს, ვინაიდან ჩვენი იდეოლოგია არა მარტო **ცოდნის სისტემა,** არამედ აგრეთვე **იდეების სისტემა,** სულიერი ღირებულებათა სისტემაა.

ახლა დიდი ყურადღება ეთმობა მემკვიდრეობითობას სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში. რა თქმა უნდა, მემკვიდრეობითობა იდეოლოგიურ მუშაობაშიც გვჭირდება. მაგრამ მემკვიდრეობითობაც არის და მემკვიდრეობითობაც. ჩვენ დიალექტიკოსები ვართ, და მემკვიდრეობითობა დიალექტიკურად გვესმის. ისევე როგორც ყველაფერში, **იდეოლოგიურ მუშაობაშიც ნამდვილი მემკვიდრეობითობა უნდა გამოიხატებოდეს ყოველივე იმ მნიშვნელოვანის შენარჩუნებითა და გამრავლებით, რაც გუშინდელ მუშაობაში გვქონდა, და ყოველივე იმის დაძლევით, რაც უკვე აღარ შეესაბამება დღევანდელობის ამოცანებს.** ყოველგვარი განვითარება არის ახლის ბრძოლა ძველთან. ის, რაც კარგი იყო გუშინ, ვეღარ იქნება ასეთივე კარგი დღეს და, მით უმეტეს, ხვალ. ჩვენმა საკუთარმა გამოცდილებამ, ჩვენმა ყოველდღიურმა პრაქტიკამ გვიჩვენა, რაოდენ მავნე ყოფილა შეხედულებათა დოგმატიზმი და უძრაობა, სიახლის შიში როგორც იდეურ-პოლიტიკურ, ისე სოციალურ დარგებშიც, ეკონომიკაშიც. ხშირად, ალბათ, უფრო ოღონ საქმეა დაძლიო სტეიქიური უბედურება, ვიდრე ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის იდეური უძრაობა.

ჩვენი პლენუმი მუშაობას ამთავრებს.

ჩვენი პარტიული ორგანიზაცია კი განაგრძობს მუშაობას — მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი, XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. ამ მუშაობას ორა აქვს ხილული დროებრივი სამანი: იგი დიდხანს გასტანს, ვინაიდან 1983 წლის ივნისში მოსკოვს მიღებული გადაწყვეტილებანი შრომელთა იდეოლოგიური აღზრდისათვის მთელი ჩვენი საქმიანობის სერიოზულ მასშტაბურ გარდაქმნას გულისხმობს.

ჩვენი მთავარი უახლოესი ამოცანაა **გავაცნოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის შედეგები, ამ პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვიდან გამომდინარე დებულებები და დასკვნები თითოეულ პირველად პარტიულ ორგანიზაციას, ყოველ შრომითს კოლექტივს, უფართოეს მასებს, თითოეულ ადამიანს.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა შეგვაიარაღა იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ზუსტი, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამით, და ახლა საქმე ის არის, გავაჩაღოთ აქტიური ორგანიზატორული და პროპაგანდისტული მუშაობა პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებათა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VIII სესიის შედეგების ახსნა-განმარტებისათვის. როგორ უნდა წარიმართოს ახლა ჩვენი მუშაობა? რა რეკომენდაციებია ამის თაობაზე?

ყველა სხვა ღონისძიებებთან ერთად უმნიშვნელოვანესთა რიცხვს განეკუთვნება პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმები, ხოლო ყოველ პირველად პარტორგანიზაციაში — პარტიული კრებები. თითოეულ შრომითს კოლექტივში ფართოდ უნდა გავაჩაღოთ ახსნა-განმარტებითი მუშაობა, რათა კომუნისტებმა და უპარტიოებმა კარგად, მთლიანად შეიგნონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები. ამაზე, თუ რამდენად დამაჯერებლად და რამდენად გასაგებად გავაკეთებთ ამას, დიდად იქნება დამოკიდებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მიერ დასახული პროგრამის რეალიზაცია.

ამ საქმეს განზე არ უნდა გაუდგეს ცენტრალური კომიტეტის არც ერთი წევრი, არც ერთი წევრობის კანდიდატი. აქტიურად უნდა ჩაებას ამ მუშაობაში საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ყველა წევრი, სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების ყველა ხელმძღვანელი. ახლა განსაკუთრებით საჭიროა სერიოზული, დაკვირვებული მომზადება პლენუმებზე, პარტიულ კრებებზე გამოსასვლელად, განსაკუთრებით აუცილებელია მაღალორგანიზებულად მოეწყოს ერთიანი პოლიტიდღეები შრომითის კოლექტივებში. ყველგან უნდა წარმიმდგეს კონკრეტული, საქმიანი სკკ-ბიასი საკვანძო პრობლემებზე. ყველა ღონისძიებას თან უნდა სდევდეს ფუნაალო, შემოქმედებითი ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს გულახდილ აზრთა გაზიარებას, იმ საპირბოროტო საკითხებისა და პრობლემების დაუფარავ და პირფთვნელ განხილვას, რომლებიც აღელვებთ კომუნისტებს, ყველა მშრომელს.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ყველა ამ ღონისძიებას. ამიტომ მათთვის უაღრესად გულდასმით და სერიოზულად უნდა ვემზადოთ. თანაც, მზადება უნდა იწყებოდეს მთელი თვით, თვე-ნახევრით ადრე, რათა ამხანაგებმა შეძლონ ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმისა და ჩვენი პლენუმის შედეგები, წინასწარ მოიაზრონ შრომითი კოლექტივები, გაეცნონ პარტიულ ორგანიზაციათა ცხოვრებას, ეკონომიკის, სოციალური განვითარების საქმეთა მდგომარეობას, პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის რაობას, და მხოლოდ ამის შემდეგ წარდგნენ აუდიტორიის წინაშე საინტერესო, შინაარსიანი, ეფექტურად შემოქმედებითი მოხსენებით. აი, სწორედ მაშინ გამოუვათ საფუძვლიანი, საქმიანი, კონკრეტული, შემოქმედებითი სკკ-ბიასი. სწორედ ეს არის ყველა განხორციელებული ღონისძიებისათვის მთავარი.

ივნისის პლენუმის მასალების სერიოზულ და ღრმა შესწავლას უნდა მიეძღვნას მეცადინეობანი მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემაში. ამავე მიზნით უნდა მოეწყოს თათბირ-სემინარები სხვადასხვა კატეგორიის პროპაგანდისტთა კადრების, იდეოლოგიურ უწყებათა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა ხელმძღვანელებისათვის.

ივნისის პლენუმზე წამოყენებული ამოცანები უნდა დავაკონკრეტოთ სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, განათლების, კულტურის სხვადასხვა დარგის კვლევიანზე და შევუსატყვეისოთ მათ. მიზანშეწონილია, მოწვეულ იქნეს პარტიულ-სამეურნეო აქტივის დარგობრივი კრებები, უწყება-სამინისტროთა კოლეგიების გაფართოებული სხდომები, სამეცნიერო დაწესებულებების, შემოქმედებითი კავშირების, საზოგადოება „ცოდნის“ აქტივის კრებები. კერძოდ, რეკომენდებულია, რომ მასწავლებელთა ტრადიციულ აგვისტოს თათბირებზე გამოვიდნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები და წაიკითხონ მოხსენებანი — „იდეოლოგიური მუშაობის აქტიურობა საკითხები და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ამოცანები“. ამ მუშაობაში უნდა ჩაებან ცენტრალური კომიტეტის წევრებიც, ბიუროს წევრებიც. და ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რაოდენ დიდ ყურადღებას იჩენს ჩვენი პარტია სახალხო განათლების საკითხებისადმი.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ითქვა, ქვეყანაში სახალ

თითოეული კომუნისტი პარტიის იდეური მებრძოლიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

უნდა დაგვავიწყდეს. და ჩვენც მზად ვართ ყოველნაირად დავუჭიროთ მათ მხარი.

ახლა, როცა უფრო ღრმად და ყურადღებით სწავლობ, კვლავ და კვლავ იაზრებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალებს, განსაკუთრებით ცხადად და ნათლად ხედავ, როგორ ბრძოლაში მოიქცა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, როცა იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები თავისი პლენარული სხდომის განსახილველად გაიტანა. ეს საკითხები, ეს პრობლემები მუდამ იყო ჩვენი ყურადღების ცენტრში, მაგრამ ახლა მოგვეთხოვება **თვისებრივად ახლებური მიდგომა მათდამი, გვჭირდება ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მთელი იდეოლოგიური მუშაობის ახალი, უფრო მაღალი დონე.**

დღეს შეგვიძლია სრულიად გარკვეთი, მტკიცე რწმენით ვთქვათ, რომ რესპუბლიკის პარტორგანიზაცია სავსებით არის მომზადებული ყველა იმ ამოცანის რეალიზაციისათვის, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა წამოაყენა. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ჩვენს ორგანიზებულობაზე, ჩვენი მუშაობის ნებისმიერი უბნისადმი საქმიან, კონკრეტულ, საგნობრივ მიდგომაზე, ბევრი რამ არის დამოკიდებული ორგანიზატორულ მუშაობაზე. ავქ გამოდიოდნენ — და კარგადაც გამოვიდნენ — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. გ. გ. ლეჟავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. რ. ა. გოგლიძე და სხვა ამხანაგები. ნუ დაგავიწყდებათ, ამხანაგებო, რომ ბევრი რამ არის დამოკიდებული თავად თქვენზე, იმაზე, თუ როგორ დააყენებთ თქვენ თვითონ საქმეს. ის გარემოება, რომ თქვენ შეგიძლიათ აანალიზებდეთ მოვლენებს, გამოგქონდეთ დასკვნები, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ თქვენი მუშაობა კარგად მივიჩნიოთ. საჭიროა ორგანიზატორული მუშაობა, საგნობრივი, კონკრეტული მუშაობა. ნათქვამი გეხებათ არა მარტო თქვენ, არამედ ეხება ყველა ხელმძღვანელ ამხანაგს.

ახლა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ, განსაკუთრებით საჭიროა, რომ თითოეულ კომუნისტს ღრმად ჰქონდეს შეგნებული პასუხისმგებლობა არა მარტო საკუთარი თავის, არამედ ამხანაგებისთვისაც, თავის პარტორგანიზაციაში საქმის ვითარებისთვისაც. ძალიან გვინდა, ამხანაგებო, რომ ჩვენი პლენუმის ყოველ მონაწილეს ნათლად ესმოდეს ეს.

ძალიან გვინდა აგრეთვე, რომ, ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის მუშაობას რომ შევუდგებით, მუდამ გვახსოვდეს დასახული მიზანი. ხოლო ის, რომ დასახული ამოცანები შესრულდება, განხორციელდება, — ჩვენ ოდნავადაც არ გვეეჭვება. ასეთი იმედიანობის, ასეთი მტკიცე რწმენის საფუძველია თვით ჩვენი პლენუმის მუშაობა, განხილული საკითხის გამო გამართულ კამათში ამხანაგების გამოსვლები.

თავს ნებას მივცემ იმედი გამოვთქვა, რომ ყველა წინადადება, ყველა საგულისხმო რეკომენდაცია და რჩევა, რომლებიც ამ დღეებში გაგვიზიარეს ამხანაგებმა, როგორც იტყვიან ჩაბმული იქნება საქმეში, რომ ისინი საფუძვლად დაედება რესპუბლიკის პარტორგანიზაციის მთელ შემდგომ საქმიანობას მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. **მათ კვლავ გამოავლინეს ის მძლავრი იდეურ-პოლიტიკური და სულიერ-ინტელექტუალური პოტენციალი, რომლითაც ძლიერია ჩვენი პარტორგანიზაცია, და რომელიც რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება უფრო სრულად უნდა ავამოქმედოთ.**

ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ ბევრი ამხანაგი ეკონომიკასა და იდეოლოგიას განიხილავდა მათი მჭიდრო თანამოქმედებისა და ურთიერთშეღწევის ასპექტით. აგროსამრეწველო კომპლექსების ფუნქციონირების ფონზე ადგილობრივ პარტიულ და სამეურნეო ორგანოთა გარდაქმნასთან — ეს კი ჩვენი ცხოვრების თვისებრივად ახალი მოვლენაა — დაკავშირებული დიდმნიშვნელოვანი, აუთანადადები საკითხები აღძრეს თავიანთ გამოსვლებში პარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. აბრამიშვილმა და მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. ა. წითლიძემ.

მაგალითი ამაშისა, სადაც, როგორც ივნისის პლენუმზე ითქვა, პარტიის რაიკომი უმნიშვნელოვანესი სამეურნეო სიახლის დანერგვას შეუდგა ყველაფრის თავიდათავით — ადამიანით, უკვე ქრისტომათიულად იქცა. აქ გამოვიდა პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ბ. დ. გულუა. შეხედეთ, როგორ გაიზარდა იგი! ეს გახლავთ სრულიად ახალი ტიპის ხელმძღვანელი, რომელიც ჩამოყალიბდა თვალსაჩინო, შემოქმედებითად მოაზროვნე მუშაკად, რომლისთვისაც გაანალიზება-განზოგადება და პრაქტიკული დასკვნების გამოტანა ჩვეული საქმეა. მან მოიყვანა დამაჯერებელი მაგალითები იმის ნათელსაყოფად, რომ იდეოლოგიური უზრუნველყოფის, ადამიანთა შინაგანი, სულიერ-ზნეობრივი ენერგიის აუმოქმედებლად ფოთის ექსპერიმენტი ვერ მოგვიტანდა ესოდენ დამაიმედებელ შედეგებს.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომელიც საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. დ. მგელაძემ, საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ი. თ. თოდუამ, პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ბ. ჭარაქაშვილმა გამოთქვეს ჩვენი სოფლის მეურნეობის იდეოლოგიური უზრუნველყოფის, შემდგომი განვითარების, რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პრობლემების გადაჭრის მთელ რიგ პრინციპულ საკითხებზე.

ჩვენთვის გასაგები და ახლობელია მათი წუხილი, რომელიც ბევრ სხვა გამოსვლაშიც იგრძნობოდა, წუხილი, რომელიც გამოიწვია, სტიქიურმა უბედურებამ, ჩვენს რესპუბლიკას რომ დაატყდა თავს. მართლაც, ჩვენს სახალხო მეურნეობას უდიდესი ზარალი მიადგა. უაღრესად ძლიერი და ინტენსიური სეტყვის და ამასთანავე თქვეშის შედეგად განადგურდა ან არსებითად დაზიანდა ვენახები 45 ათას ჰექტარზე, ხეხილის ბაღები 16, სამარცვლე და სამარცვლე-პარკოსანი კულტურების ნათესები — 35, ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურებისა და კარტოფილის ნათესები — 12, საკვების ნათესები — 25, სხვა კულტურების ნათესები და საკვები სავარგულები — 47 ათას ჰექტარზე. დაიღუპა 2 ათას სულზე მეტი ფრინველეფხა და მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი.

კოკისპირულმა წვიმებმა ბევრგან წალეკა გზები, დაზიანა, ზოგან კი წაიღო ხიდები, რესპუბლიკური დაქვემდებარების ცალკეულ ბარის ქალაქებსა და დაბებში დატბორილი და მწყობრიდან არის გამოყვანილი სამრეწველო და სამშენებლო საწარმოები და ა. შ. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მოსახლეობის პირადი მეურნეობანი, ბევრ საცხოვრებელ შენობაში შევარდა წყალი, ღვარცოფის ნაკადები. სეტყვამ დაუნგრია სახურავები მთელ რიგ საცხოვრებელ სახლებს და ა. შ.

სტიქიურმა უბედურებამ წელს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, წინასწარი გაანგარიშებით, აზარალა 180 ათასი ტონა ყურძნით, 50 ათასი ტონა ხილით, 30 ათასი ტონა ბოსტნეულ-ბაღჩეულით, 15 ათასი ტონა კარტოფილით, 40 ათასი ტონა მარცვლეულით და ა. შ.

რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა, კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა სტიქიურ უბედურებას დაუპირისპირეს შეუპოვარი, თავდადებული შრომა. შემძლელია გაცნობოთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, რომელიც სხვათა შორის, მეორე დღესვე მიიღეს, როგორც კი მოსკოვში რესპუბლიკისათვის თავს დამტყდარი სტიქიური უბედურების ამბავი შეიტყვეს, — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაეკალა საჭირო დახმარება გაგვიწიოს ამ უბედურების შედეგების ლიკვიდაციაში.

მაგრამ მარტოოდენ ამ დახმარების იმედით არ უნდა ვიყოთ. ჩვენ კიდევ უფრო მეტი მობილიზება და ორგანიზება გვმართებს. ეს ორატორთა გამოსვლებშიც აღინიშნა. ჩვენი ხალხი მზად არის გარჯისა და გმირობისათვის, რათა შევინარჩუნოთ ყოველივე, რაც ადამიანის მარჯვენას შეუქმნია.

პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. კ. ი. ქაჯაიამ ცენტრალურ კომიტეტს მოახსენა, რომ რაიონის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა, გაითვალისწინეს რა რესპუბლიკაში არახელსაყრელი ამინდის პირობებით გამოწვეული სიძნელენი, გადაწყვიტეს მიმდინარე წელს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 8 მილიონი მანეთის მრეწველობის პროდუქცია. ასეთივე ცნობები მოგვდის ზუგდიდის, მახარაძის რაიონებიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებიდან. ეს კარგი თაოსნობაა, რომელიც მოწონებისა და მხარდაჭერის ღირსია.

ზოგი ორატორი შეეხო ახალი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბების რთულ პრობლემას, რომლისთვისაც დამახასიათებელია უარის თქმა მთლიან მაჩვენებლებზე და ყურადღების გამახვილება თანამედროვე წარმოების სულ უფრო გართულებული პირობების შესაბამისად მოქნილ შესაძლებლობათა კონსტრუირებაზე. დიდმნიშვნელოვანი საკითხი აღძრეს თავიანთ გამოსვლებში პარტიის დმანისის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ა. ბერიძემ, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ გენერალურმა დირექტორმა ამხ. ზ. დ. ჩივაძემ. ეს საკითხი შეეხება ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის დანერგვის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას. მართლაც, საჭიროა სერიოზულად და ღრმად გავიაზროთ, რა სოციალური და აღმზრდელობითი შედეგები მოჰყვება ჩვენს სამეურნეო სიახლეებს, კერძოდ, კოლექტიური იჯარის მეთოდის ფართო გამოყენებას, მკაცრად გავითვალისწინოთ, რა გავლენას ახდენს ასეთ პირობებში მზარდი შრომის ნაყოფიერება, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის დასაქმებაზე, როგორ შევუხამოთ ერთმანეთს სწორად მატერიალური და მორალური სტიმულირების ღონისძიებანი, როგორ ვმართოთ კოლექტივში ფსიქოლოგიური კლიმატი და ა. შ. ყოველივე ეს როგორც მრეწველობის, ისე მეცნიერების სადღეისო ამოცანებია.

შრომის მეცნიერულ ორგანიზაციასთან, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის სრულყოფასთან, მისი ეფექტიანობისა და აღმზრდელობითი როლის ამაღლებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები აღძრა თავის გამოსვლაში საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ამხ. ზ. ა. კვაჭაძემ. როგორც ჩანს, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურ კომისიას მართებს ყურადღებით შეისწავლოს ეს წინადადებანი და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები. მართლაცდა, უდავოდ სწორია, რომ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველზე ჩვენ უნდა ვიღვაწოთ არა მარტო **ეკონომიკური ეფექტიანობისათვის, არამედ აგრეთვე ეფექტიანადაც ვახორციელებდეთ შრომითი კოლექტივის აღმზრდელობითს ფუნქციებს.** რა თქმა უნდა, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების აღმზრდელობითი ფუნქციები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველზე. სწორი აზრია! თვით აღზრდის პროცესი მეცნიერულ ორგანიზაციას მოითხოვს. პატივცემული ნინიაღი გამოსვლაში სრულიად კონკრეტული საკითხები იყო აღძრული. მაგალითად, იმის შესახებ, რომ აუთვისებელი რჩება სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა მატერიალური სტიმულირებისათვის გამოყოფილი რამდენიმე მილიონი მანეთი. ასეთ ანტისახელმწიფოებრივ პრაქტიკას — სხვაგვარად მას ვერ უწოდებ —ბოლო უნდა მოეღოს და ჯეროვანი წესრიგი დამყარდეს ამ საქმეში.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამომცდელმა მძღოლმა ამხ. ბ. ი. ვაშაკიძემ სწორად თქვა, რომ საწარმოო ამოცანები განუყოფელია სოციალური ამოცანებისაგან. მართლაცდა, თუ ჩვენ გვინდა მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მივაღწიოთ, ასევე უნდა ვიზრუნოთ თვით მუშაკაზეც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკის მეცნიერებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა წინაშე მდგომი ამოცანების ღრმა გაგება ნათლად და დამაჯერებლად იგრძნობოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ამხ. ე. კ. ხარაძის გამოსვლაში. არ შეიძლება არ დავთანხმოთ პატივცემულ ევგენის, რომ, როცა ზემოქმედებას ვახდენთ ადამიანის მსოფლმხედველობაზე, ვუნერგავთ მას შრომისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებას, ამით ჩვენ ხელს ვუწყობთ თვისებრივ ძვრასაც საწარმოო ძალებში.

ყველაზე აქტიური მხარდაჭერის ღირსია საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ი. გ. გვერდწითელის წინადადებები, რომელმაც, თუ მთელ მის გამოსვლას შევაჯამებთ, შემოგვთავაზა სრულიად კონკრეტული გზები იმისა, **რა უნდა გაკეთდეს პრაქტიკულად იმისათვის, რომ მეცნიერება რეალურად გადაიქცეს უშუალო საწარმოო ძალად.** ეს საკითხები უაღრესად ღრმა განხილვასა და შესწავლას იმსახურებს და მათ უსათუოდ დავუბრუნდებით.

იდეოლოგიისა და კულტურის თანამოქმედების შესახებ საინტერესო აზრებს შეიცავდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ნ. ზ. ჭავჭავაძის გამოსვლა. ჩვენ ვიზიარებთ მის წუხილს იმის გამო, რომ სულიერ კულტურას გარკვეულ საფრთხეს უქადის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგები, და ამასთანავე მასავით, გვჯერა, რომ კულტურის განვითარებაში გაიმარჯვებს ჰუმანისტური მეცნიერული აზროვნების, ზნეობრივი პათოსისა და მხატვრული შემოქმედების შინაგანი ერთიანობის ტენდენცია. ძალიან მომეწონა მის მიერ გამოთქმული აზრი, რომ საჭიროა „დიალოგი ბუნებასთან“, და გვინდა, ამ მიმართულებით სრულიად რეალური, პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგას. ჩვენ მზად ვართ ასეთ დიალოგში მონაწილეობისათვის.

ბევრი გამოსვლა მიეძღვნა საბჭოთა ადამიანების შეგნებასა და გონებაზე, ემოციასა და სულისკვეთებაზე იდეურ-ესთეტიკური ზემოქმედების საშუალებებს. აქ მინდა აღვნიშნო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ნ. ვ. დუმბაძისა და სხვა ამხანაგების გამოსვლები, რომლებმაც ილაპარაკეს სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმის ჩანერგვის შესახებ. სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმი! მართლაცდა რა შესანიშნავი გამოთქმა, რა ზუსტად მიგნებული განსაზღვრაა. ეს ძალიან კარგი, ძალიან სასიამოვნოა, როცა ქვეყანაში, და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, გამოჩენილი მწერალი აღძრავს ესოდენ აქტუალურ, ესოდენ საჭირბოროტო საკითხს.

უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები აღიძრა პარტიის აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნების ამხ. ბ. ვ. ადლეიბასა და ამხ. ვ. რ. პაპუნიძის გამოსვლებში. კარგად თქვა პატივცემულმა ბორისმა, რომ საჭიროა მარჯვედ ვიყენებდეთ ისტორიულ ფაქტებს, ისტორიულ მოვლენებს, ისტორიულ პროცესებს და რომ თავისთავად ისტორიის გაკვეთილები უღვივებს ადამიანებს ინტერნაციონალიზმის გრძნობას. ოღონდ, ეს გაკვეთილები სწორად უნდა აეხსნათ ხალმე! არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პატივცემულ ვახტანგსაც, რომელმაც თქვა, რომ უსათუოდ უნდა განვამტკიცებდეთ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, რათა უფრო წარმატებით ვაწარმოოთ კონტრპროპაგანდა. ამის შესახებ ილაპარაკა აგრეთვე საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ფოფხაძემ. უდავოდ სწორია, რომ ბურჟუაზიული პროპაგანდის წინააღმდეგ მოქმედებას, ჩვენი საბჭოთა სინამდვილისა და ჩვენი ხალხების ნამდვილად ძმური ურთიერთობის ჩვენებას საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის განკუთვნილ მასალებში უნდა ვუზამბდეთ იმ ადამიანთა დაკვირვებულ, შემოქმედებითს მომზადებას, რომლებიც საბჭოეთის წარმომადგენლებად მიემგზავრებიან საზღვარგარეთ ტურისტებად და პროფესიულ-საქმიან ვიზიტად.

ამხანაგების გამოსვლებში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ინტერნაციონალისტური აღზრდის, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საკითხებს. ძალზე საინტერესოდ ილაპარაკა ახალგაზრდობის შეგნებაში ინტერნაციონალიზმის შთანერგვის შესახებ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. გ. ლორთქიფანიძემ. სწორად აღნიშნეს პარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ს. შუღაროვმა და პარტიის წალკის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ო. ა. ხრისტოპოვმა, რომ ინტერნაციონალისტურ აღზრდაში მთავარია ხელმძღვანელთა, კომუნისტთა პირადი მაგალითი, ის, თუ როგორ ამკვიდრებენ ისინი ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. ადამიანების მიმართ ყოველდღიური დამოკიდებულებით, თავიანთი საქციელით, პრაქტიკული საქმეებით.

ხორცშესხმული ინტერნაციონალიზმის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა ნაყოფი გამოაქვს სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მეგობრულ ერთსულოვან მუშაობას, ყოველი რეგიონის, მთლიანად რესპუბლიკის განვითარებისათვის ზრუნვას, მისი მოსახლეობის შრომითი, კულტურული ტრადიციებისა და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, დამაჯერებლად და, მე ვიტყოდი, მგზნებარედ ილაპარაკეს მარნეულის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ზ. ა. იმანოვამ და პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ფ. კოზეევმა. ქალაქის წინაშე მოქალაქეთა პასუხისმგებლობის თემა კარგად გააშუქა თავის გამოსვლაში თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავმა ამხ. ვ. ი. პისარევამ. ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის, სტუდენტთა სპორტული მომზადების აქტუალური პრობლემები აღძრა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილმა.

აქვე უნდა ითქვას, რომ მოზარდი თაობის აღზრდის, კერძოდ, რუსული ენის შესწავლის, ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის პრობლემების კარგი გაგება ვიგრძენით თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის გამოსვლაში.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის ამხ. ა. ი. შირინკინის საქმიანმა, კონკრეტულმა გამოსვლამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, თუ რაოდენ საჭიროა მთელი ჩვენი ყოველდღიური იდეოლოგიური და აღმზრდელობითი მუშაობა ვაწარმოოთ სამხედრო და სასაზღვრო ოლქებთან მჭიდრო კონტაქტით, თანამოქმედებით. ის, რაც ალექსი ივანეს ძემ თქვა, ზუსტად შეესაბამება ჩვენს კურსს, ჩვენს მოთხოვნას — გადავიყვანოთ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისა და ოლქების პოლიტორგანოების ერთობლივი მუშაობა საქმიან რელსებზე, სულ უფრო მეტად გადავიდეთ ზოგადი, ხშირად ლამაზი ფრაზებიდან რეალურ, პრაქტიკულ მუშაობაზე. იგი გამოვიდა საქმიანად, როგორც ცენტრალური კომიტეტის წევრს შეშვენის, დააყენა ფრიად კონკრეტული, პრინციპული საკითხები, და ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ მის თვალსაზრისს. ჩვენთვის, ისევე როგორც მისთვის, სულერთი არ არის, თუ რა გრძნობებით, რა განწყობილებით წავალენ საქართველოდან დემობილიზებული მეომრები, რა შთაბეჭდილება დარჩებათ მათ ჩვენს ხალხზე, ჩვენს რესპუბლიკაზე. კვლავაც ნიადაგ იმით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ არმია და ხალხი — ეს განუყოფელი, ერთიანი ორგანიზმია.

ძალუმად ეღერდა ორატორთა გამოსვლებში გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავისათვის მზადების თემა. ძალზე სწორი აქცენტები იყო დასმული ამასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის ამხ. დ. გ. სტურუას სიტყვაში.

ჩვენს პლენუმზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო შინაპარტიული მუშაობის საკითხებს, და ეს სავსებით ბუნებრივია. ჩვენ დიდი მოწონებით აღვიქვით კრიტიკა ცენტრალური კომიტეტის აპარატის, განყოფილებების მიმართ, რომელიც პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. გ. დ. გაბუნიას გამოსვლაში გაისმა, და მიგვაჩნია, რომ ეს შენიშვნები მეტისმეტად მოკრძალებული იყო. ვინ-ვინ, და ჩვენ კარგად ვიცით, რომ ნაკლოვანებანი გაცილებით მეტი გვაქვს, ვიდრე აქ გამოთქვა მან. კარგია, რომ პატივცემულმა გურამმა დაძლია ის ბარიერი, რომელიც აქამდე, სამწუხაროდ, ბევრს დაუძლეველი ეგონა, და დაუფარავად ილაპარაკა ჩვენს ნაკლოვანებებზე.

იმედი მაქვს, ამხანაგები სწორად გამიგებენ. ყოველივე ამას მოგახსენებთ სრულიად გულწრფელად, და არა თავის მოსაწონებლად, არა იმიტომ, რომ წარმოგიდგეთ რაღაც განსაკუთრებული ელფერით, ასე ვთქვათ, დემოკრატთა შორის ყველაზე დემოკრატიკაცის შარავანდედით. სულაც არა.

ბარემ, ბოლომდე გულახდილი ვიქნები: მთელი ეს წლები ყურადღებით ვაკვირდებოდი, მოთმინებით ველოდი, ნეტავ როდის დადგება-მეთქი მომენტი,—მე კი მთელი არსებით მეწყალა, რომ ეს მომენტი რაც შეიძლება მალე დამდგარიყო, — რომ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების კონსტრუქციული, პირდაპირი, პრინციპული კრიტიკა ჩვენს პლენუმებზე ნორმა, ჩვეულებრივი მოვლენა გახდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ჯერ ვერ მივაღწიეთ. განა ეს იმას ნიშნავს, რომ ნაკლოვანებები არ გვქონია და არა გვაქვს? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. რა გამოგვდის: ნაკლოვანებანი ყველას აქვს, ცენტრალურ კომიტეტს კი არა აქვს? არა, ასე როდია საქმე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაობაში ნაკლოვანებანი გვაქვს და საკმაოდ სერიოზულიც.

ძალზე მადლიერნი ვართ ცენტრალური კომიტეტის წევრებისა ჩვენი მუშაობის მხარდაჭერისათვის. ასეთი მხარდაჭერა საკრავივით გვქერდება. **მაგრამ მხარდაჭერა ჩვენ გვესმის არა მარტო როგორც უცილობელი მოწონება ყოველივე იმისა, რასაც ვაკეთებთ. არა-ნაკლები მხარდაჭერა ჩვენი აზრით, ის არის, რომ დაგვეხმაროთ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. და მაშინ უკეთ წაგვივა საქმე!** ამისათვის კი საჭიროა უფრო მტკიცედ ამხილოთ ნაკლოვანებანი. უფრო თამამად, უშიშრად გამოავლინოთ ისინი, დასახოთ მათი აღმოფხვრის გზები. ესეც მხარდაჭერაა — პარტიული, კომუნისტური, მეგობრული.

ჩვენი პლენუმების მუშაობაში სულ უფრო მეტად უნდა გადმოვიტანოთ სულისკვეთება, რომელიც დამკვიდრდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომებზე, რომლებსაც ჩვენ „უდღისწესრიგო“ სხდომებს ვეუწოდებთ, როცა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს, ცენტრალური კომიტეტის მდივნებს ყოველთვის კი არა ხოლმე ერთმანეთისათვის სათქმელი და ეუბნებიან კიდეც — გულახდილად, დაუფარავად, პირში. დაე, პლენუმებზეც გამოითქვას ხოლმე საქმიანი, კონსტრუქციული წინადადებები, მოგვესმინოს კრიტიკული შენიშვნები ცენტრალური კომიტეტის, სამდივნოს, ბიუროს წევრების მისამართით. ეს საჭიროა იმიტომ, რომ ცხოვრებაში ჩვენ ზოგჯერ ვხვდებით ფაქტებს, როცა ხელმძღვანელები მიდიან და ხმოლოდ ამის შემდეგ გაისმის კრიტიკა მათ მიმართ. აქ, ჩვენს პლენუმებზე ხომ თავს იყრიან თანამოსაქმენი, თანაპარტიელი ამხანაგები, კეთილმოსურნენი, ხოლო თუ ჩვენ ვამბობთ, ვამკვიდრებთ, ვნერგავთ, ვამტკიცებთ ამხანაგობის, მეგობრობის, კეთილმოსურნეობის, შემოქმედების ვითარებას—ჯეშმარიტად სამუშაო ვითარებას, ასეთ ვითარებაში სავსებით კანონზომიერად წარმოგვიდგება იმის განხილვა, თუ რაოდენ უნარიანად, რაოდენ თანამიმდევრულად ასრულებს ცენტრალური კომიტეტი მის წინაშე მდგომ ამოცანებს, რის გაკეთება ხერხდება და რისა — ვერა.

საფუძველი — ეს არის კეთილმოსურნეობა, საფუძველი — ეს არის კონსტრუქციული წინადადებები, კონსტრუქციული სულისკვეთება, რომელიც უნდა სუფევდეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე. ეს ყველაზე მთავარია. და ასეთ ატმოსფეროში არაფრის შეგეშინდება, ასეთ ატმოსფეროში შეგიძლია გადაჭრა ყველა პრობლემა. გადაწყვიტო ყველა საკითხი. სწორედ ასეთი ატმოსფერო მოგვცემს საშუალებას დაუნდობლად ვებრძოლოთ ყველა ჯურის დემაგოგებს, ყველანაირ ცილისმწამებლებს, მავნე ხმების გავრცელების მოყვარულებს. ამის შესახებაც ილაპარაკეს ორატორებმა.

და კიდევ. ჩვენს პლენუმებზე ზშირად ახსენებენ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გვარს, როცა მოვუწოდებ ამხანაგებს შენიშვნონ ნაკლოვანებანი ცენტრალური კომიტეტის საქმიანობაში, რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს პირველი მდივნის მუშაობაც. მე ყველა სხვა ადამიანივით მაქვს ჩემი ნაკლოვანებანი, და მინდა ცენტრალური კომიტეტის წევრებმა აღნიშნონ ხოლმე ისინი. მით უმეტეს, ეს ხარვეზები სულაც არ არის იმის შედეგი, რომ არ მინდა უკეთ ვმუშაობდე. უბრალოდ, ყოველთვის ვერ ვასწრებ ყველაფერს, ზოგჯერ დრო არ მყოფნის, ხან კი მაკლია უნარი, გამოცდილება და ა. შ. კეთილი სიტყვებისათვის მაღლობას მოგახსენებთ! მაგრამ მინდა ვიცოდე ისიც, თუ რა გამომრჩა. თუ შეეგუეთ იმ აზრს, რომ ცენტრალური კომიტეტის გაკრიტიკებაც შეიძლება, მაშინ პირველი მდივნით უნდა დაიწყოთ. და ცენტრალური კომიტეტის სხვა მდივნებსაც აღარ დასწყდებათ გული. განა სწორი არა ვარ?

